ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 64

ქ.გორი „13" ოქტომბერი 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ლომიძის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ რევაზ ნასყიდაშვილის (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლის საკუთარი სახსრებით, მონეტორული ზღვრების დაცვით, სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები (CPV კოდი 45100000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: სკოლის ეზოში მიწის თხრისა და გადატანის სამუშაოები, წყლისა და კანალიზაციის მილების მოსაწყობად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 350,00 (სამასორმოცდაათ) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით

2.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობე

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მომსახურება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალხარისხიანი მომსახურება.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უსაფრთხოების კოორდინატორი დავით კოლოტაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. გორი, ნინოშვილის ქ. N 54;
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22;
ანგ. N GE82LB0121141252767000
ს/კოდი: 218016769

დირექტორი
რუსუდან ლომიძე

მიმწოდებელი

ფ/პ. რევაზ ნასყიდაშვილი
მისამართი: ქ. გორი, ბარნოვის ქ N 10,
ბანკი: სს ,,ლიერთი ბანკი "
ბანკის კოდი: LBRTGE22;
ანგ. N GE15LB028887004041626;
ს/კოდი: 59001080867

რევაზ ნასყიდაშვილი

ს.ს.ი.პ. გორის № 12 საჯარო სკოლას და ფ/პ რევაზ ნასყიდაშვილს შორის 2017 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამუშაოების შესრულებისა და საქონლის მიწოდების

საბოლოო
მიღება –ჩაბარების
აქტი

ქ. გორი 16 ოქტომბერი 2017 წ

ს.ს.ი.პ. გორის № 12 საჯარო სკოლას და ფ/პ რევაზ ნასყიდაშვილს შორის 2017 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული № 64 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „დამქირავებელი" ს.ს.ი.პ. ქალაქ გორის № 12 საჯარო სკოლა მისი წარმომადგენლის რუსუდან ლომიძის სახით და მეორეს მხრივ „დაქირავებული" ფ/პ რევაზ ნასყიდაშვილის სახით, ხელს ვაწერთ აქტს მასზედ, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული სამუშაოები შესრულებულია.

2017 წლის 13 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულმა შესრულებულმა სამუშაომ

შეადგინა: 350.00 (სამასორმოცდაათი) ლარი

მიიღო	ჩააბარა
„დამქირავებელი"	„ დაქირავებული"
რუსუდან ლომიძე	რევაზ ნასყიდაშვილი

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #:	153	GEL
		GEL
თარიღი:	2017 წლის 17 10, სამშაბათი	280.00
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ გორის #12 საჯარო სკოლა	*თანხა სიტყვიერად*
ანგარიში (დებეტი):	GE82LB0121141252767000	
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი: LBRTGE22
		ორას ოთხმოცი GEL და 00
გადასახადის გადამხდელის დასახელება:		
საიდენტიფიკაციო კოდი:		საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:
		ბანკის აღნიშვნები
მიმღების დასახელება:	ფ/პ ნასყიდაშვილი რევაზ	
		ბანკში შემოსვლის 17.10.2017
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი): GE15LB0288870040416426
		თარიღი:
მიმღების ბანკი:	ქ.გორი, სს "ლიბერთი ბანკის" გორის ფილიალი	ბანკის კოდი: 220101463
გადახდის დანიშნულება:	მიწის თხრის სამუშაოების შესრულების ღირებულება	ხელმოწერა:
ხელმოწერა:		
		ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ლიბერთი ბანკი

			GEL
			GEL
			70.00
			თანხა სიტყვიერად
			სამოცდაათი GEL და 00
			ბანკის აღნიშვნები
			ბანკში შემოსვლის 17.10.2017 თარიღი:
			ხელმოწერა:

		საგადახდო დავალება #:	154
		თარიღი:	2017 წლის 17 10, სამშაბათი
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ გორის #12 საჯარო სკოლა		
		ანგარიში (დებეტი):	GE82LB0121141252767000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:			
საიდენტიფიკაციო კოდი:		საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	101001000 გადასახადები - გადასახადების ერთიანი კოდი
მიმღების დასახელება:	სახელმწიფო ხაზინა		
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი):	200122900
მიმღების ბანკი:	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	მომსახურების ანაზღაურებიდან დაკავებული საშემოსავლო		
ხელმოწერა:			

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან